



საქართველოს სასჯელაღსრულებების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტროს

სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

70

4. აპრილი 2013წ.

სასწავლო ცენტრში ტრენერთა კატეგორიის და ერთ აკადემიურ საათზე ანაზღაურების
დაანგარიშების შკალის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1 პუნქტის და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის N59 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო ცენტრის წესდების მე-5 მუხლის „ლ“ პუნქტის საფუძველზე


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2012 წლის 22 ივნისის N98 ბრძანება „სასწავლო ცენტრში ტრენერთა ანაზღაურების შკალის განხორციელების თაობაზე“
2. დამტკიცდეს სასწავლო ცენტრში ტრენერთა კატეგორიის და ერთ აკადემიურ საათზე (45 წუთი) ანაზღაურების დაანგარიშების შკალა - დანართი N1.
3. ტრენერთა ანაზღაურება ერთ აკადემიურ საათზე (45 წუთი) დაანგარიშდეს დანართი N1 -ის შესაბამისად;
4. გამონაკლის შემთხვევებში, ტრენერთა ტრენინგის და სხვა არატიპიური ტრენინგების ტრენერების ანაზღაურება განისაზღვროს ინდივიდუალურად, მათი გამოცდილების, განათლებისა და ჩატარებული სამუშაოს გათვალისწინებით;

5. დაევალოს საკადრო უზრუნველყოფის და კანცელარიის სპეციალისტს, მათა ჯანგირაშვილს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში (მის: ქ.თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N42) ან/და გარდაბნის რაიონულ სასამართლოსი (მის: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. N14).

დირექტორი

ზოია ხასია





ექსპერტთა კატეგორიის შკალა

დანართი № 1

ტრენინგი № დ/ 000

კატეგორია	ლარი/ავ. სთ.	ქულა	
		-დან	-მდე
I კატეგორია	70	52	55
II კატეგორია	65	50	52
III კატეგორია	60	48	50
IV კატეგორია	55	45	48
V კატეგორია	50	42	45
VI კატეგორია	45	39	42
V კატეგორია	40	33	39
VII კატეგორია	30	28	33
VIII კატეგორია	20	22	28
IX კატეგორია	15	-	22

დასახელება	დამტკიცებული		
		პრე	პოსტ
ანკეტური მონაცემები			
განათლება (მიუთითეთ კუთვნილი ხარისხის ყველაზე მაღალი საფეხურის შესაბამისი ქულა)	დოქტორის ხარისხი	15	
	მაგისტრის ხარისხი / მაგისტრთან გათანაბრებული 5 წლიანი დიპლომი	10	
	ბაკალავრის ხარისხი	5	
განათლება ტრენინგის თემატიკის მიხედვით (მიუთითეთ კუთვნილი ხარისხის ყველაზე მაღალი საფეხურის შესაბამისი ქულა)	დოქტორის ხარისხი	6	
	მაგისტრის ხარისხი / მაგისტრთან გათანაბრებული 5 წლიანი დიპლომი	4	
	ბაკალავრის ხარისხი	2	
გამოცდილება (საგანმანათლებლო საქმიანობა)	ქვეყნის გარეთ ან სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის ტრენინგის ჩატარების გამოცდილება (მინიმუმ 3-ჯერ ან 40 სთ-ის მოცულობით)	5	
	ქვეყნის შიგნით ტრენინგების ჩატარების გამოცდილება, სხვა დამქირავებლის მეშვეობით (მინიმუმ 4-ჯერ ან 40 საათის მოცულობით)	4	
	აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების ჩატარების გამოცდილება	2	
პრაქტიკოსი - ტრენინგის თემატიკის მიხედვით (მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილებით)		5	
არაკადემიური განათლება/გამოცდილება (სასერტიფიკატო კურსი მინიმუმ 40 სთ-ის მოცულობით, კრედიტები, სტაჟირება, პრაქტიკა, გამოცემა, სტატია და სხვ.)		2	
ტრენინგი TOT - ტრენერობის უნარ-ჩვევებისა და მეთოდოლოგიის ფლობა (დადასტურებული სერტიფიკატით ან სხვა დოკუმენტით)		5	
საქმიანობის შედეგი			
ტრენინგის კითხვარების შედეგი		10	
		54	0 0

ჰონორარის გაანგარიშება			
კატეგორია	ანაზღაურება 1 ავ. სთ-ში / ლარში		
	15		
	15		0

თარიღი _____